ბრძანება:**ბ47. 4723137001**
თარიღი:**17/05/2023**

ბრძანება N 41

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი

სხდომის მოწვევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის , 61 -ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის №9 დადგენილებით დამტკიცებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-40 მუხლის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. მიმდინარე წლის 25 მაისს დღის 12 საათზე, მოწვეულ იქნეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა შემდეგი დღის წესრიგით:

1.1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ მშენებლობის შეჩერების შესახებ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის შესრულების კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ირაკლი ახობაძე

1.2. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 იანვრის N3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი: თეა უჯმაჯურიძე

1.3. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023-2027 წლების ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის პროექტის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: გია გიორგაძე

1.4. ანგარიში ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების მიერ 2022 წელში გაწეული საქმიანობის შესახებ.

მომხსენებელი: ქეთევან გიორგაძე

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. N 4.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ირაკლი კუჭავა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი